დავით სართანია *

ივანე ჯავახიშვილის საუნივერსიტეტო კონცეფცია**

რეზიუმე

ივანე ჯავხიშვილი, რომელიც ცხოვრობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის პირველ ნახევარში, არის ახალი საქართველოს დაფუძნების და განვითარების ერთ-ერთი უპირველესი მოღვაწეთაგანი. XX ს. დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა (პირველი მსოფლიო ომი და რევოლუცია რუსეთის იმპერიაში) განსაზღვრა საქართველოს შემდგომი ბედი. ამ მოვლენებით გამოწვეულ ცვლილებებს ივანე ჯავახიშვილი მომზადებული შეხვდა და სათანადო მოქმედებაც განახორციელა. კერძოდ, ეს იყო მეცნიერების როლის აღიარება, რომელიც მანამდე არნახული მასშტაბით შემოვიდა თითოეული დაწინაურებული ქვეყნის ცხოვრებაში და თავისი ცხოველმყოფელობაც თვალნათლად აჩვენა. ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით ახლა მეცნიერება საქართველოშიც უნდა აღორძინებულიყო, რისთვისაც საქართველოში უნივერსიტეტი უნდა დაფუძნებულიყო. ივანე ჯავახიშვილის კონცეფციით ქართული უნივერსიტეტი უნდა მორგებოდა ქართველი ერის საჭიროებებს და ამიტომ სტრუქტურითაც და სასწავლო პროგრამების შინაარსითაც სხვა უნივერსიტეტებისაგან განსხვავეული უნდა ყოფილიყო. ამ განსხვავებულობამ მოგვცა უნივერსიტეტის ახალი, ქართული მოდელი.

---

* თსუ მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

** კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის - „ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში” ფარგლებში. გრანტის კოდი: FR-21-9053

ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაფუძნდა საქართველოში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი. მისი იურიდიული დაფუძნება მოხდა 1917 წელს. უნივერსიტეტის დაარსების განკარგულებას 1917 წ. 2 დეკემბერს მოაწერა ხელი რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში მოქმედი ორგანოს - ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომრემ ევგენი გეგეჭკორმა (იხ. საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, ანაწ. 1. საქმე N 23. ფ. 44.) ხოლო, უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა 1918 წ. 26 იანვარს (ახ. სტილით 8 თებერვალს). ივანე ჯავახიშვილის მიერ მოაზრებულ საუნივერსიტეტო კონცეფციაში ორი მთავარი საკითხია გამოსაყოფი:

- რა მიზანი უნდა ჰქონოდა ანუ რა ძირითადი ეროვნული ამოცანებს უნდა მომსახურებოდა ქართულ იუნივერსიტეტი?
- როგორი სტრუქტურული აგებულებისა და შინაარსის უნდა ყოფილიყო თავად ეს ქართული უნივერსიტეტი?

ამჟამად შევეცდები მხოლოდ პირველ საკითხს გავცე პასუხი.

უნდა ითქვას, რომ დასახული ამოცანა, ერთი მხრივ, იმ დროით იყო განსაზღვრული, რა დროშიც იქმნებოდა ქართული უნივერსიტეტი და, მეორე მხრით, იმ საჭიროებით, რაც ქართველი ერის წინაშე იდგა.

XX საუკუნის დასაწყისი მსოფლიო ისტორიაში მრავალი ახალი კატაკლიზმის (მსოფლიო ომი, რევოლუციები სხვადასხვა ქვეყნებში, დიდი იმპერიების რღვევა, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა და სხვა) ეპოქაა, რომელმაც არც საქართველო დატოვა განზე. რუსეთის მონარქიის დამხობით იმპერიაში შემავალ ხალხებს თავიანთი ეროვნული საკითხების რეალიზაციის იმედი გაუჩნდათ. ამ მოვლენებით გამოწვეულ ცვლილებებს ივანე ჯავახიშვილი მომზადებული შეხვდა და სათანადო მოქმედებაც განახორციელა. კერძოდ, ეს იყო მეცნიერების როლის აღიარება, რომელიც მანამდე არ-

ნახული მასშტაბით შემოვიდა თითოეული ქვეყნის ცხოვრებაში და თავისი ცხოველმყოფელობაც თვალნათლად აჩვენა. ივანე ჯავახიშვილი 1917 წლის 12 მაისს, როცა ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობაზე საუბრობდა, აღნიშნავდა: „ცნობილია, რომ გერმანიის ქიმიური ნივთიერებათა და სამღებრო მრეწველობის განსაცვიფრებელი ზრდა გერმანული საქიმიო მეცნიერების დაუცხრომელ წარმატების ნაყოფია. თუ **გერმანია ამ მსოფლიო უმაგალითო ომის ტვირთის სიმძიმეს ყველაზე უკეთესად იტანს** (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) და ყველგან სადაც იგი მოქმედებას დაიწყებს ხოლმე, მისი ყოველივე ნაბიჯი მიზანშეწონილია, ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ თეორიული სოციალური და ჰუმანური მეცნიერებანიც იქ მაღალ ხარისხამდე არის განვითარებული და მუშაობა შეუჩერებლივ სწარმოებს“ (ჯავახიშვილი ივანე, 2018, გვ.19-20).

მეცნიერების როლის საჩვენებლად ამაზე უკეთესი მაგალითის მოხმობა შეუძლებელი იყო. ეს ხომ ის დროა, როცა დედამიწა პირველ მსოფლიო ომშია გახვეული და ამ ომში გერმანია ანტანტას უპირისპირდებოდა. გერმანიის, როგორც მეცნიერების განვითარების გამო დაწინაურებულ ქვეყანას, ივანე ჯავახიშვილი მოგვიანებითაც, კერძოდ კი 1924 წ., გაიხსენებს, როცა გერმანია უკვე დამარცხებულია, მაგრამ არა ჩამორჩენილი და დაჩაჩანაკებული, არამედ კვლავაც მისი მრეწველობა სხვა დარგებთან ერთად იყო აღორძინებული.

„თანამედროვე ცხოვრება, ყველა თავისი კულტურული და ეკონომიური მხარეებით, მისი წარმატებული დაწინაურება ყოველსავე სფეროში მეცნიერების წარმატებასთან არის უმჭიდროესად დაკავშირებული. - აღნიშნავდა, მეცნიერი, - სამეცნიერო, წმინდა თეორიული აღმოჩენა უმალ პრაქტიკულ ცხოვრებისთვისაც არის ხოლმე გამოყენებული. ხშირად კი აღმომჩენისთვისაც კი მოულოდნელს ცხოვრების ძირითად ცვლილებებს იწვევს. გერმანელ ფიზიკოსების მიღწეულობაა [ამის] ბრწყინვალე შედეგი. [ეს გარემოება]

გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის უაღრესი დაწინაურებისა და სწრაფი აყვავებისათვის საკმაოდ არის ცნობილი, რომ ამაზე დიდ ხანს ლაპარაკი საჭირო იყოს. მარტო **ანილინის საღებავის აღმოჩენით გერმანულმა მეცნიერებამ თავის ეროვნულ ვაჭრობა-მრეწველობას მანამდე უძლეველი ინგლისის უბრძოლველად დამარცხება შეაძლებინა**“ (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.). (საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, აღწ. 1. საქმე N 25, ფ. 63).

ივანე ჯავახიშვილის შეხედულებით საერთაშორისო გამოცდილებას არც საქართველო უნდა ჩამორჩენოდა თუ კი მასაც სურდა მიმდინარე გამოწვევებისათვის გაესწორებინა თვალი: „ჩვენი პატარა, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, მაგრამ კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყანა, რასაკვირველია, სხვებზე მეტად არის **ვალდებული მეცნიერების წინამძღოლობასა და გზისგამკვლეობას ანგარიში გაუწიოს** (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.), რომ სხვებს დაეწიოს და კაცობრიობის დაწინაურებაშიც თავისი პირადი წვლილი შეიტანოს“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, აღწ. 1. საქმე N 25, ფ. 63).

1917 წ. 12 მაისს გაკეთებულ მოხსენებაში ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „საქართველოს და კავკასიის წარსული და აწმყო, მისი ბუნება და ადამიანი უნდა შეადგენდეს ამ ქართული უნივერსიტეტის ყოველმხრივ სამეცნიერო კვლევა-ძიების უპირველეს მიზანს“ (ჯავახიშვილი ივანე, 2018, გვ.24). მოხსენების ამ ერთ წინადადებაში მოხაზულია ორი ასპექტი: გეოგრაფიული და თემატური.

გეოგრაფიული ასპექტში მოცემულია დედამიწის მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი, რომლის შესწავლას უსახავს მიზნად ივანე ჯავახიშვილი ახალ ქართულ უნივერსიტეტს. ესაა საქართველო და კავკასია. მაგრამ იქვე აღნიშნულია: „ქართველი ერის ისტორიული ბედი საუკუნეთა განმავლობაში მრავალ სხვა და სხვა კულტურასან ერის ბედთან იყო დაკავშირებული და თუ დასავლეთ ევროპის მკვლევართათვის აღმოსავლეთის კულტურის შესწავლა უფრო რომ

მეცნიერული ცოდნისმოყვარეობის შედეგია, ჩვენ ქართველთათვის... ასურელთა, სპარსელების, ბერძნების, არაბების, სომხების და სხვათა ისტორიისა, მწერლობისა და კულტურის შესწავლა თვით ჩვენივე წარსულისა და აწმყოსათვის არის აუცილებლად საჭირო“ (ჯავახიშვილი ივანე, 2018, გვ.24).

მოგვიანებით ამ გეოგრაფიულ არეალს ასე დააკონკრეტებს: „ჩვენს უნივერსიტეტს თავის მოქმედებისათვის იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, რაც საზოგადოდ ყველა სხვა ქვეყნებისა და ერთა უნივერსიტეტებს აქვთ, მაგრამ ამასთანავე თავის უპირველეს და უსაკუთრეს მოვალეობად მას საქართველოს, კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა აქვს და მუდამ ექმნება მიჩნეული“ (საქართველოს საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე N 191, ფ. 4).

ამდენად, ივანე ჯავახიშვილის ამ გეგმაში დაკვირვებისა და კვლევის არეალი შემოხაზულია. ესაა საქართველო, კავკასია და მახლობელი აღმოსავლეთი. ეს ის სივრცეა, სადაც ოდითგანვე უხდებოდა ქართველს ცხოვრება და მოღვაწეობა.

რაც შეეხება თემატურ ასპექტს, მეცნიერის აზრით ესაა „ადამიანი და ბუნება“, მაგრამ არა ზოგადად ყველაფერი რაც ადამიანსა და ბუნებას მიემართება, არამედ იმ ადამიანს, რომელიც ზემოთ მოცემულ გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობდა და ცხოვრობს და იმ ბუნებას, რომელიც ასევე ამ გეოგრაფიულ სივრცეზეა წარმოდგენილი. ივანეს გეგმაში ამ ამოცანას კონკრეტული კონფიგურაცია ჰქონდა, რომელიც სალექციო პროგრამაში აირეკლებოდა. ივანე ჯავახიშვილის აზრით „ამის გამო ამ უნივერსიტეტის სალექციო პროგრამა შესაფერისად ვრცელი იქნება... და ისეთ საგნებს უნდა შეიცავდეს, რომელიც ამ სახით და ამ თვალსაზრისით ერთად შესწავლა ჯერ არც ერთ სხვა უნივერსიტეტში განზრახული არ არის“ (საქართველოს საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე N

191, ფ. 4.) ნათქვამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ ამონარიდს მოვიყვან მეცნიერის მსჯელობიდან, რომელიც სამედიცინო დარგს შეეხება: „სამკურნალო ფაკულტეტზე საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და ავადმყოფობა-სნეულებათა, სამხრეთის და ტროპიკული ქვეყნებისათვის დამახასიათებელ გადამდებ მოარულისა და ავადმყოფობათა შესწავლა და სამეცნიერო გამოკვლევა მუდმივ მისწრაფების საგანი უნდა იყოს. [ამიტომ] ყველა ზემოთაღნიშნული მოსაზრებათა გამო ცხადია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული თავისებურება და ღირებულებაც ექმნება“ (საქართველოს საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 1935, აღწ. 1, საქმე N 191, ფ. 5). მართლაც, ახალდაარსებულმა უნივერსიტეტმა ისე ფართოდ გაშალა თავისი საქმიანობა, რომ შედეგები მალე თვალსაჩინო გახდა. უნივერსიტეტის 6 წლის თავზე ივანე ჯავახიშვილი ხელისუფლებას ამცნობდა: „თითოეულ მთავარ მიღწეულობის ჩამოთვლით რომ თავი არ მოგაბეზროთ, შემიძლიან მოკლედ მოგახსენოთ, რომ უნივერსიტეტის ყოველი ფაკულტეტი თავის სფეროში დიდ მუშაობას აწარმოებს, რომელიც გარეშე საზოგადოებისთვის ამჟამად უმეტეს ნაწილად ჯერ უჩინარია, მაგრამ რომლის ჩვენი ერის წარმატებისათვის უაღრესი მნიშვნელობა უახლოეს დროს ყველასათვის ცხადი და უცილობელი შეიქმნება“ (საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, აღწ. 1, საქმე N 24, ფ. 63).

რადგან მაშინ საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, არ არსებობდა და ქართველი ერი იყო მხოლოდ რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ნაწილი, მაგრამ მეტროპოლიასთან შედარებით უუფლებო, შეცვლილ ვითარებაში მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო იყო ზემოთ ნახსენები განვითარების მძლავრი ფაქტორის, მეცნიერების ამოქმედება. იგი კი ჯერ-ჯერობით საქართველოში არ არსებობდა და სწორედ ის იყო შესაქმნელი. ამის თაობაზე მეცნიერი 1917 წ. 12 მაისის შეკრებაზე ამბობდა: „თუ ჩვენ გვინდა,

რომ ამ ჩვენს აღორძინებას მტკიცე საფუძველი ჰქონდეს, ფესვები მაგრად გაიდგას და უხვად გაიფურჩქნოს, უნდა დაუყოვნებლივ ჩვენს თანამედროვე ვითარებას ჩავუკვირდეთ და საქმის შესატყვისი სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ, რომლის განსახორციელებლად არაფერი უნდა დავზოგოთ და არავითარ დაბრკოლების წინაშე არ უნდა შევრდკეთ. საქართველოს თანამედროვე აღორძინება უეჭველია ჯერ კიდევ ძალიან ნორჩია, რომ მას გულმტკივნეული მზრუნველობა არ ესაჭიროებოდეს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ არც ერთს ეროვნებას და ქვეყანას არ შეუძლია შეუჩერებელი კულტურული ზრდა, თუ რომ მას შესაფერისად განვითარებული და მუდამ წარმატებაში მყოფი მეცნიერება არ აბადია. ერის ყოველი წარმატება, თვით ნივთიერ კულტურის სფეროშიაც კი, თეორიული მეცნიერების წარმატებასა და აღმოჩენებზეა დამოკიდებული“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.19). სწორედ აქ ახსენებდა იგი გერმანიის მაგალითს, რომელმაც დაამტკიცა, რომ თეორიული მეცნიერების ყველა დარგის განვითარებით, რა დიდი წარმატების მიღწევაა შესაძლებელი. ივანე ჯავახიშვილი უარყოფდა დებულებას, თითქოსდა შესაძლებელია პრაქტიკული საჭიროებებისთვის მომზადდეს კადრები და მათ უზრუნველყონ ერის ყოველგვარი საჭიროებანი. მეცნიერის აზრით „რაც უნდა კარგად შეისწავლოს პრაქტიკულად გამოსაყენებელი ტექნიკის თვით უკანასკნელი აღმოჩენა და საშუალებანი, თუ რამ თეორიული მეცნიერება მას საფუძვლიანად მუდამ ნიადაგს არ უმაგრებს, ამგვარს ცოდნას, ვითარცა ნამდვილ ხელოსნურსა, მცირედი ღირებულება აქვს და თანდათან უნდა უეჭველად ჩამოქვეითდეს“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.20).

ეს კი რომ არ მოხდეს „ცხადზე უცხადესია, რომ თუ ჩვენ გვსურს ჩვენი ერის გონებრივსა და კულტურულს ნორჩს აღორძინებას ფესვები გავუმაგროთ, მთელი ჩვენი ძალღონით ქართულ მეცნიერების შექმნას და აყვავებას უნდა ხელი შევუწყოთ“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.20). „ან როგორ უნდა განვითარდეს ჩვენში თუნდ

ქვამადნის დამუშავება, - ჰკითხულობდა მეცნიერი, - როდესაც ნივთიერების შემადგენლობის გამოკვლევა ადგილობრივ არავის შეუძლიან და ნიმუშები ანალიზისთვის ან რუსეთის, ან უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში უნდა გაიგზავნოს ხოლმე“? (უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფონდი 471, ანაწერი 1, საქმე N 7. ფ. 52).

მეცნერების მნიშვნელობაზე ამ მსჯელობას წინ ანალოგიური შინაარსის სხვა უსრული წინადადება უძღვის, რომელიც მეცნიერის საარქივო მასალით შემდეგნაირად აღდგება: „თუ რა და რამდენი შემოდის გარეთგან და რა და რამდენი გააქვს გარეთ ამ ქვეყანას ყოველწლიურად, მხოლოდ გულუბრყვილოს შეუძლიან იფიქროს, ვითომც მიწათმფლობელობის საკითხი შეიძლება გონივრულად გადაწყვეტილი იყოს იქ, სადაც არც [ამ საკითხის] მოსაწესრიგებლად თეორიულად შეაფერისი მომზადებული პირნი[ა და არც] მიწათმფლობელობის თანამედროვე მდგომარეობის გამოსარკვევად, წინასწარი საჭირო სამეცნიერო გამოკლვევები არ იქმნება?“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.33).

ვინაიდან, საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ არსებობდა დასაარსებული ქართული უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებაზე ოცნება ფუჭი იყო. ისიც კი საკმარისი იყო, თუ ქართული უნივერსიტეტის დაარსების ნებართვას გასცემდა რუსეთის დროებითი მთავრობა. ამიტომაც ივანე ჯავახიშვილის გეგმით ჯერ უნდა შექმნილიყო „ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება“, რომელიც იზრუნებდა უნივერსიტეტისთვის მხოლოდ ნივთიერი სახსარი მოეპოვებინა.

ეს საზოგადოება დაარსდა 1917 წლის 3 ოქტომბერს (იხ. „ივანე ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ. 184-191), თუმცა 1917 წლის 12 მაისს მოწვეულმა კრებამ თავი ამ საზოგადოების დამფუძნებლად გამოაცხადა (იხ. ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.174). საბოლოოდ საზოგადოების სახელწოდებიდან სიტყვა „დამხმარე“ ამოიღეს და საზოგადოებას

ეწოდა: „ქართული უნივერსიტეტის საზოგადოება“ (იხ. ჯავახიშვილი ივ. 2018, გვ.63-71).

ივანე ჯავახიშვილის აზრით როგორი უნდა ყოფილიყო ქართული უნივერსიტეტის შინაგანი აგებულება? მეცნიერი თვლიდა, რომ ქართული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო სრული (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.34). მაშინდელი საუნივერსიტეტო ტრადიციით უნივერსიტეტი სრულად ითვლებოდა მაშინ, თუ კი მასში ფუნქციონირებდა შემდეგი 4 ფაკულტეტი: ფილოსოფიური (რომელიც მოიცავდა მეცნიერების ყველა დარგებს), იურიდიული, სამედიცინო და თეოლოგიური. ივანე ჯავახიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა თეოლოგიური ფაკულტეტის არსებობას მომავალ ქართულ უნივერსიტეტში და ასევე ამ სფეროს ფილოსოფიურ ფაკულტეტზე მოთავსებასაც. იგი აღნიშნავდა: „სასურველია, რომ ის სამეცნიერო საგნები, რომელსაც გერმანულს საპროტესტანტო და საკათოლიკე საღვთისმეტყველო ფაკულტეტებზე ასწავლიან ქართულ მომავალ უნივერსიტეტშიაც იყოს ან ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტის სახით, ან იქნებ სიბრძნისმეტყველების[1] ანუ ფილოსოფიურ ფა-

[1] ეს ცნება - სიბრძნისმეტყველება“ - ივანე ჯავახიშვილის მიერაა შექმნილი, რომელიც ფილოსოფიურს უდრის. ამის შესახებ იგი თავად ამბობს: „ფილოსოფიური ფაკულტეტი გერმანიაში ენათმეცნიერების, საკუთრივ ფილოსოფიურ საგნების, სიტყვიერების, ისტორიის, ხელოვნების, პოლიტიკურ ეკონომიისა, სახელმწიფო სამართლის და სამატემატიკო-საბუნებისმეტყველო მეცნიერებას შეიცავს. ამ შემთხვევაში „ფილოსოფიური“ ფაკულტეტი ძველ, ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი და მეცნიერების ჰუმანურ-სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო დარგების შემცველია. მეცნიერული აზროვნების მრავალმხრივობისა და საფუძვლიანობისათვის სასურველია, რომ ეს სამი უმთავრესი დარგი მართლაც ერთად იყოს. მათ შორის მრავალი საერთო სამეცნიერო კვლევის საგნებიცაა. და თუ ეს შეხედულება შესაწყნარებელი იქნება მომავალ ქართულ უმაღლეს სასწავლებლისათვის, უნდა შესატყვისი ტერმინი შექმნილიყო. ფილოსოფიას ქართულში ვიწრო, საკუთრებითი

კულტეტის სალექციო გეგმასა და სიაში იყოს შეტანილი. თუნდაც რომ ცალკე ღვთისმეტყველების ფაკულტეტი შეიქმნას, მას პრაქტიკული ხასიათი კი არ უნდა ჰქონდეს, იქ მღვდელმსახურებისათვის კი არ უნდა ამზადებდნენ, არამედ მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისით ხელმძრვანელობდეს დას მის ერთადერთ მიზნად საზოგადოდ სარწმუნოებათა და განსაკუთრებით საქრისტიანო დოღმატიკის, მწერლობის, მთარგმნელობის, ლიტურღიკის, საეკლესიო სამართლისა, წესწყობილებისა და ზნე-ჩვეულებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა უნდა დაისახოს. ჩვენში ბევრნი სარწმუნოებას ალმაცერად უყურებენ და ამის გამო თავიანთ ღირსების დამამცირებლად მიაჩნიათ საღვთიმეტყველო მეცნიერებაზე სჯაბაასიც-კი. მაგრამ ამ შემთხვევაში ფრიად სამწუხარო ცნებათა აღრევა და გაუგებრობაა. რწმენა და ამა თუ იმ სარწმუნოების აღსარება ან უარყოფა და ურწმუნოება რასაკვირველია ყოველ ადამიანის პირადი შეგნებისა და გრძნობის საქმეა, მაგრამ სულ სხვაა სარწმუნოებათა ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. შეიძლება ადამიანი ურწმუნოც იყოს, მაგრამ რომ სარწმუნოებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და იგი ადამიანთა მოდგმის სულიერ შემოქმედების ერთ-

---

მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაცა აქვს და ამიტომ ჩვენი მიზნისთვის არ გამოდგებოდა. სამაგიეროდ „სიბრძნე“ ამისათვის შესაფერისია. მას ძველადაც მუდამ ფართო მნიშვნელობა ჰქონდა და ეხლაც ამგვარადვე ფართოდ იგულისხმება. შოთას უკვდავი ქმნილებაც ცხადჰყოფს, რომ „სიბრძნე“ მაშინ იმგვარადვე ფართო მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დასავლეთ ევროპაში და გერმანიაში ძველად სიტყვა ფილოსოფია ესმოდათ. **„შაირობა პირელადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“**-ო, ნათქვამია ვეფხისტყაოსანში. მაშასადამე, **პოეზიაცა და ხელოვნებაც „სიბრძნე“-დ ითვლებოდა.** ეს ტერმინი ფართო ცნების შემცველი ყოფილა და **მას ცოდნის სხვადასხვა დარგი ჰქონია.** აი, ამის გამო, ვგონებ, გერმანული „ფილოსოფიური ფაკულტეტი“-ს გადმოსაცემად ქართულად „სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი“ უნდა ვიხმაროთ“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.35).

ერთ უძლიერეს დარგის გამოხატულებაა, ამის უარყოფა არავის შეუძლიან. რაკი ჰუმანურ მეცნიერებათა მიზანი ადამიანის სულიერ შემოქმედების ყოველმხრივ გამოხატულობის შესწავლაა, ამიტომ თეორიულ მეცნიერებაც მოვალეა სარწმუნოებათა მეცნიერულ-ისტორიული შესწავლა თავს იდვას. საქრისტიანო და სამაჰმადიანო საღმრთო წერილისა (დაბადების, სახარების, ყურანის და სხვათა) წარმოშობისა და თანდათანი განვითარების ისტორია. მაგ. იმდენად საგულისხმიერო და დიდმნიშვნელოვანი საგანია, რომ იქ სადაც ამ საგნების მეცნიერ-მკვლევარი არა ჰყავთ, უნივერსიტეტიც სრული სამეცნიერო უმაღლეს დაწესებულებად ვერ ჩაითვლება. ამის გამო ცალკე ფაკულტეტის სახით, თუ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტში ჩართვით მომავალში მაინც ქართულ თავისუფალ[2] უნივერსიტეტში საღვთისმეტყველო მეცნიერებათა ლექციებიც უნდა შემოღებულ იქმნას“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.34).

ამ ვრცელი ამონარიდიდან კარგად ჩანს ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულება ზოგადად რელიგიისადმი და კერძოდ საღვთისმეტყველო დარგისადმი. იგი ორჭოფულად ამბობს, რომ მომავალ ქართულ უნივერსიტეტში ღვთისმეტყველება შესაძლებელია ცალკე ფაკულტეტის სახით იყოს წარმოდგენილი ან კიდევ იგი სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურ ფაკულტეტის შემადგენლობაში მოთავსდესო. ეს ორჭოფობა მომდევნო აბზაცში ქრება და სრულიად გარკვევით ამბობს: „ქართულ თავისუფალ სრულს უნივერსიტეტში შემდეგი ფაკულტეტები იქმნება: 1. სიბრძნისმეტყველებისა ანუ ფილოსოფიური საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო

[2] თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, რომ მომავალი ქართული უნივერსიტეტი თავისუფალი ანუ სახელმწიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო. 1917 წ. 15 ივნისს ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების კრებაზე დაადგინეს, რომ უნივერსიტეტის დასახელებიდან ამოეღოთ სიტყვა „თავისუფალი“ (იხ. ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.179).

განყოფილებითურთ; 2. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიული და 3. სამკურნალო“ (ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ.35). ეს საკითხი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაწერილ „ქართული უნივერსიტეტის ძირითად დებულებანშიც“ აისახა. იგი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ წარმოადგენს უნივერსიტეტის იურიდულად არსებობის საფუძველს და მასში გაწერილი დებულებები სავალდებულო ნორმებს წარმოადგენენ. იქ კი მე-5 პარაგრაფად მოცემულია შემდეგი დებულება: „ქართული უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტი იქნება და შემდეგ ფაკულტეტებს უნდა შეიცავდეს: 1.სიბრძნისმეტყველების ანუ ფილოსოფიურს ფაკულტეტს, რომელშიაც საისტორიო-საფილოლოგიო, აღმოსავლეთის ენებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების საგნები შედის. 2. სამართლის მეცნიერების ანუ იურიდიულს ფაკულტეტს და 3. სამკურნალო ფაკულტეტს“ (იხ. ჯავახიშვილი ივ., 2018, გვ. 78).

რადგან ახლად დააარსებულ უნივერსიტეტს ჯერ არც სათანადო კადრები ეყოლებოდა და არც საჭირო მატერიალური ბაზა და ფინანსური შესაძლებლობა ექნებოდა, ივანე ჯავახიშვილის აზრით სხვადასხვა ფაკულტეტები არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით უნდა გახსნილიყო. მეტიც თავად ფაკულტეტებში განყოფილებებიც კი არ იხსნებოდა ერთბაშად. ამის გამო მას ყველა ფაკულტეტის სტრუქტურის გეგმა იმთავითვე არც წარმოუდგენია. მოგვიანებით დანარჩენი ფაკულტეტების გახსნა სწორედ ზემოთმოცემული გეგმით განხორციელდა და ქართული უნივერსიტეტიც სრული გახდა.

ამდენად, ქართული უნივერსიტეტის დაარსებით ახალ ეროვნული ინსტიტუტის ჩამოყალიბებას დაედო სათავე, რომელმაც ქართველი ერის ეროვნული აღორძინება მნიშვნელოვნად განსაზღვრა.

გამოყენებული წყაროები

საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფ. 471, ანაწერი 1, საქმე 7.

საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფ. 471, ანაწერი 1, საქმე 24.

საქართველოს უახლესი ისტორიის ეროვნული არქივი, ფ. 471, ანაწერი 1, საქმე 25.

საქართველოს საისტორიო ეროვნული არქივი, ფონდი 1935, ანაწერი 1, საქმე N 191

ჯავახიშვილი ივანე 2018. - ქართული უნივერსიტეტისათვის. თსუ გამომცემლობა

Davit Sartania

The University Conception of Ivane Javakishvili

Summary

Ivane Javakhishvili, who lived in the second half of the 19th century and the first half of the 20th century, is one of the leading figures of the foundation and development of the new Georgia. The events that developed at the beginning of the 20th century (the First World War and the revolution in the Russian Empire) determined the future fate of Georgia. Ivane Javakhishvili met the changes caused by these events prepared and took appropriate action. In particular, it was the recognition of the role of science, which entered the life of each advanced country on an unprecedented scale and showed its vitality. With Ivane Javakhishvili's initiative, science should be revived in Georgia, for which a university should be established in Georgia. According to Ivane Javakhishvili's concept, the Georgian university should be adapted to the needs of the Georgian nation, and therefore it should be different from other universities in terms of structure and content of study programs. This difference gave us a new, Georgian model of the university.